საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000068114517223

№ 04-4-D **19 / დეკემბერი / 2023 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების, საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღებისა და შესაბამის მიმართულებებზე არჩევნების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებისა (საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 18.11.2022წ. სხდომის ოქმი N3 , საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 04.12.2023წ. სხდომის N14) და „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ნოემბრის #43/2021 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
1.1. თეონა თაყაიშვილი – კონსერვატორიის ადმინისტრაციის იურისტი, კომისიის თავმჯდომარე;
1.2. მარიამ ელიზბარაშვილი – კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
1.3. თამარ ინაშვილი – კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი, კომისიის წევრი;

2. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი განცხადებას (დანართი 1) წარმოადგენს 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე კონსერვატორიის კანცელარიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №216 ან კანდიდატებს სარეგისტრაციო განაცხადი შეუძლიათ

გამოგზავნონ კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურის ელ.ფოსტაზე: kantselaria@tsc.edu.ge;

3. საშემსრულებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი მიმართულების სხდომაზე ღია კენჭისყრით (იხ.დანართი 2) ;

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;

5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და დაეგზავნოს მიმართულების ხელმძღვანელებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეა ბუაძე